სულიმიან ხანის მიერ გასრესილ საქართველოს.
ეს ბილწი სურვილი სირაგუნავს პირველს მის-
წრაფებას და ზეინაბიც ოცი წლის განმავლო-
ბაში ცეცხლად და მახვილად ევლენება ქართ-
ველს ერს. მისი სახელი უფრო საშინელი ხდე-
ბა, ვინემ სახელი თვით მტარვალის—სულე-
იმიან-ხანისა. მაქავარიანის აზრით ზეინაბის
გარყენილებაჰა ოთარ-ბეგის ღალატმა გამო-
ილა საშინელი ნაყოფი. ცალიზ-ზე ჩინ-ორდე-
ნიანი ქართველი ინტელიგენტები, ჩვენი
ბრწყინვალე თავად-აზნაურობა და მეორე მხრივ
„ქართველი დედა“ დაუნდობლივ მიაქნებენ
ბედკრულს საქართველოს უფსკრულისაკენ.
ქართველი დიდლომიანი ახალგაზრდები მთელს
თავის ღონეს, ნიქს ახმარებენ მათთვის უცხო
საქმეს, ქართველი თავად-აზნაურობა აშკარად
ყიდის თავის მარჩენელს, ერთად-ერთს იმედს
არსებობისას—ადგილ-მამულს, ხოლო ქართველ
დედას დაეწყებია ისტორიული მოვალეობა—
პატიოსანი გმირის აღზდა—და მთელის თავის
არსებით გარყენილებისა და სიბინძურის წუმ-
პეში შეუტურებულა. საზოგადოება ზეინაბის საქ-
ციელი, შეუწყნარებელია ოთარ-ბეგის დალა-
ტი, მაგრამ უფროვე საზოგადოარი და შეუწყნა-
რებელი იქნება ბრალდებულთა გამართლება,
დათავა თავისი მშვენიერი, მძლავრი და მოუ-
რიდებელი სიტყვა იოსებ მაქავარიანისა.

ვახტანგ ლამბაშიძე შეეხო ფაქტურ მხა-
რეს ბრალდებისას. მან მოიყვანა პრესიდან
ადგილები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ზეი-
ნაბს არ უფიქრია სამშობლოს განთავისუფლე-
ბისათვის, რომ მის გარყენილებასა და აღიორ-
წაშვებულებას არავითარი საპატიო მიზანი არ
ჰქონია. ლამბაშიძის აზრით, ზეინაბი კ აბა,
ანანია-გლახა, საბა-ბერი და სხვანი აშხლებდენ
შეთქმულებასა და აშხობებას. ზეინაბის შვილ-
მა ირაკლიმ რუქიას სიყვარულის ზედგავლე-

ნით უღალატა სამშობლოს და თვით ზეინან-საც ოცის წლის განმავლობაში არაერთარი კაცში არა ჰქონია მონობით გაჩახრებულ ხალხთან. რაც შეეხება ოთარ-ბეგს, ლამაზი-ძის აზრით, იგი გაასკვეებული ენერჯითი ემსახურებოდა სულეიმანის გარყვნილ მადას, მიწასთან ასწორებდა ტანჯულ მხარეს, იგი თითონ სთხოვდა სულეიმან-ხანს ბრძანებას, — განკარგულებას ქართველების აწიოების შესახებ. ყვ ლაფეზს ამას მხედველობაში იღებს ვ. ლამაზიძე და მოითხოვს ბრალდებულების დაწმავებლად აღიარებას.

ვეკითხავან პირველმა კიბა აბაშიძემ წარმოსთავა სიტყვა. მისი აზრით, ზეინანის გასამართლება შეუძლებელია თანამედროვე ნორმების საზომით. ჩვენ იმდენად გავვეჯდომია ძვალსა და რბილში თანამედროვე შემეცნება-ნი, უძლიერი მორალი, წარყენილი შეხეულება პირადსა და საზოგადო ბუნდებზე, რომ არა თუ ვერ შეგვიწყნარებია ზეინანის საქციელი, ვერც შეგვიშველიდგენია. მაგრამ საქმარისია ადამიანი გასცილდეს თანამედროვე მორალსა და შეხედულებათ, რომ მისთვის აშკარა იყოს ზეინანის გმირობა, მისი თავგანწირულება, სიმძლავრე მისი ერთად ერთის ოცნების — ერის განთავისუფლების სურვილისა. კიბა აბაშიძის აზრით, ზეინანმა შესძლო ყოველდღიური მორალის უარყოფა და თავის უბედურებაზე აღაშენა ტაძარი ერის ბედნიერებისა. ზეინანი გმირია, წაინდა ადამიანი და ამიტომ მისი აღიარება დამნაშავედ ყოვლად შეუწყნარებელი იქნება -- დასძინა კიბა აბაშიძემ.

მეორე დამკველმა გრ. რობაქიძემ ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რომ იგი ტრიბუნია. დაე, მისი შვევრმეტყველება მეხად მოველინოს იმ „ქართველთ“, ვინც დედინაცვლურად ეპყრობა ჩვენს ენას და სიტყვით, საქმით, ნებისთა და უნებლიეთ ძირს უთხრის მას!

მთელი თავისი სიტყვა რობაქიძემ მოანდომა იმ აზრს მტკიცებას, რომ სამშობლოს მნიშვნელობა დიდი, განუზომელია ის გავლენა, რომელსაც ახდენს ადამიანზე ყოველივე შრომითი. რობაქიძის აზრით, ყოველივე არსი, თავის სამშობლოს მოშორებულთ, ჰკარგავს თავის არსებობის აზრს. ასეთი ადამიანია ზეინანი, რომლისთვისაც სამშობლო — ყოველივე და პირადი ბედნიერება, ნაცნობნი, ნათესავნი — არაფერი. სამშობლოს სწორავს ზეინანი თავის სხეულის სიწმინდეს, თავის პატრიონებს, თავის ნაკნობა-ნათესავებს. ზეინანი ვერ შესძლებს ამ მსხვერპლს და ამ მხრივ ზეინანი შე-ადამიანია. „ისტორიამ უკვე გაამართლა ზეინანი, და მას თქვენნი გამართება აღარ

სკირია!“ დაასრულა თავისი სიტყვა რობაქიძემ.

ლამაზი იყო აბაშიძისა და რობაქიძის სიტყვები, მაგრამ ვერც პირველმა, ვერც მეორემ შესძლო ლამაზიძის-მიერ წამოყენებულ ბრალდებათა დარღვევა.

ხანგრძლივ თათბარის შემდეგ ნაფიკმა მსაჯულებმა დამნაშავედ სცნეს ზეინანი და ოთარ-ბეგი.

ვასო აბაშიძე,



ჩვენი სცენის დამსახურებული და უნიკატური მსახიობი, გასულ სეზონში ვადამუცოდბა, რის გამო თვის დროზე ვერ გამოძრა ჩვეულებრივი საბუნების წარმოდგენა. შაბათს, 24 აპრილს მის საბუნების წარმოდგენა იქნება „გაქალაქებული აზარი“, იმდღა, ქართული საზოგადოება ჩვეულებრივს ხალხით დასვსება საყვარელი ნს-ხიობის სასარგებლო წარმოდგენას.

ბუბრის საღმრთელი

ვოლ. 1 მოქ. რუსულ. ნათარგმნ. დ. აწყურელის მიერ (დასასრული. იხ. „თ. და ცხოვ.“ № 15)

იზიმი და ბელკინ

ბელკინ. (მივარდებს მარკელს) ბიძაჩემო, საყვარელო ძია, გამარჯობა! (სურს მოყვანას) **მარ.** არა, ყმაწვილო კაცო, ჯერ თქვენი პიროვნების მოწმობა მიჩვენეთ!

ბელ. ოო, თუ კი ჩემს პატროსან სიტყვას არ ვრწმუნებთ, — დიდის სიამაღვნებით, ინიბეთ! (ასღებს ჰაზხორტს)

მარ. (გითხულებს) „პეტრ პეტროვიჩ ბელკინ, მდივანი, დაბადებიდან 23 წლია, მაღალ ტანისა“ (უყურებს); „თმები შავი“ — სწორა, „თვალეები ქრელი“ — სწორა. „პირისხე სუფთა“ — მართალია, „განსაკუთრებითი ნიშნები არა აქვს-რა“ მგონია ასე, გარედან კი არა გეტყობა-რა და სხვა არ ვიცი... მუშასა-დავე ეს შენა ხარ. გამარჯობა, გამარჯობა, ჩემო დისწული, მოდი ერთი გადაგვივო! (ჭეცნიას) „პატივცემი, რომ ამ რიგად დაგვივო.

ბელ. რა ვუკუთ, ბიძაჩემო, გასაკვირველი არ არის, რომ თქვენ იქვე გქონდეთ, რა-

დგანაც, როცა თქვენ წამოხვედით, მე მაშინ ერთი ბეწო ვიყავი.

მარ. ჰო, ჰო, ჩემო დისწულო, მას აქედ ბევრმა წყალმა ჩაიარა.. მაგრამ შენ ეს მითხარი, აქ რა საქმეზე მოხვედი? ან და ამ ფანჯრიდან რამ გადმოგახტუნა?

ბელ. მამ სხვანაირად როგორ მოვქცეულყავ, ბიძაჩემო? ვკითხავ მეგზოებს: „აქ ცხოვრობს მარკელ სავიჩი?“—ცხოვრებით აქა ცხოვრობს, მაგრამ თქვენნი იქ შესვლა-კი არ შეიძლება, „აქრძალულიაო“. „ვიინ აქრძალი მეთქი?“—სახლის პატრონმა, ქისკარს ღრღული გაუბგლო და კეტებით გამაპვრებინაო!—„მარკრად მოახდინა ეგ საქმე მეთქი?..“ მე რა ვიცო! „შენ თუ არ იცი, მე კი ვიცი, რომ ბიძას მინც ვნახავ, სადა სდგას მეთქი?“—ავერ ეს იმის ფანჯრებიო. მე შემოვხედე და დაგინახეთ, რომ თქვენ აქ ბოლთასა სცემთ, მაშინათვე გიცანით იმ სურათით, რომელიც დედაჩემსა აქვს. ვაფიქრე, თუ კარ-ეზოდან არ შეიძლება, ეს ფანჯარა ხომ აქ არის მეთქი და, როგორც თქვენი ბედნიერი თვალი ხედავს, მე თქვენს წინაშე გახლავარ.

მარ. ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო დისწულო! ძალიან, ძალიან გეგვარ ჩემ დას! აბა ახლა მითხარი, აქ რამ მოგიყვანა?

ბელ. ეჰ, ბიძაჩემო, ეგ ძალიან გრძელი ამბავია და ამასთან მოსაწყენიც.

მარ. მაინც?

ბელ. აი, ბიძაჩემო რაზია საქმე: ერთ დღეს შეენიშნე ჩვენს ქალაქში ერთი მშვენიერი, ლამაზი ქალი, ისეთი კარგი, რომ ნენთ აუწყრელი; ერთი სიტყვით ვისაც უნდა ანგელოზზე რაიმე წარმოდგენა ჰქონდეს—ის ქალი უნდა ნახოს. ვნახე ეს ქალ-ანგელოზი და კვიცილად დავიბინე... მომეწონა, ისე მომეწონა რომ იმის სახის მეტს სხვა აღარა მახსოვდა რა ქვეყნიერობაზე... ერთხელ გავუარე გვერდზე—არ მიუყრებს, გავუარე მეორედ—არ მიუყრებს... მერე ეს მარკენა თვალი ჩავეუარ—არ მოქმედობს... ამ საქციელმაც რომ არ გასტრა, ავდღე, უტებ ხათქანი გავაღინე, დავეცი იმის ფეხქვეშ. ახლა-კი, რასაკვირველია, ძალა-უნებურად უნდა მოეხედნა ჩემსკენ... მოეწონა ჩემი საქციელი, თუ სხვა მიზეზი იყო, გამომელოაპარაკა.

მარ. გამ აგელაპარაკა?

ბელ. დიახ, ბიძაჩემო. არც საკვირველია, საშინლად მოქმედობს ქალეზზე, თუ ზით ფეხქვეშ უვარდებიან.

მარ. მეჩე, მერე რა გითხრა?

ბელ. იმან მითხრა... ჰმ... ასე სიქვა... ჰმ... „რა დათვია, ტანისამოსი სულ მთლად გამისვარაო“. მხოლოდ თქვენ, ბიძაჩემო, ნუ კი იფიქრებთ, ვითომც გაველანძღე: პირიქით, ეს სიტყვები ისე მშვენიერად და მოხდენილად წარმოსთქვა, რომ მეტი არ შეიძლება.

მარ. მერე რაღა ტალახში ჩავარდი, მშრალი ადგილი ვვლარსად გამონახე?

ბელ. ეჰ, ბიძაჩემო, ჩვენს ქალაქში ეს მოვლენა ჩვეულებრივია... აი ამას წინად გავხეთში წაიკითხავდით: ერთ მოედანზე ძალღი ჩახიჩოა წუმბეზო... ჰო, იმას ვამბობდი, ყური დამიგდეთ მერე რა მოხდა... რაზედ შევდქვი?

მარ. „რა დათვიაო“!

ბელ. დიახ, დიახ! აი ამის წემდგე დაიწყო კიდეც ჩვენ შორის მისვლა-მოსვლა... მერე, როგორც მოსალოდნელი იყო, მე ის შემიყვარდა, იმას მე და ერთ მშვენიერ დღეს... ტყაპ—მეთქი და ისევე ჩავეარი ფეხ-ქვეშ, მხოლოდ მაშინ ტალახში-კი აღარ, ღმერთმა დამიფაროს. „გამაბედნიერეთ, მოდით გამომყვიეთ ცოლად, გადავიწეროთ ჯვარი და ზღენიერად ვიცხოვროთ მეთქი!“ რაღა თქმა უნდა, თანხმობა მაშინადვე მივიღე, იმის დედას ჩვენი ცოლქმრობის წინააღმდეგი არა ჰქონდა-რა, თუმცა უცაბედად ტელეგრაზით დაიბარა თავის დედად აქ პიტერში. როცა მემშვიდობებოდა, დამპირდა წერილს ხშირად მოვწერო და ჩემს საცხოვრებელ ბინასაც შეგატყობინებო, მაგრამ ავერ ორმა თვემ გაიარა მას აქედ და ჯერაც იმისი არა ვიცი-რა. ვითმინე, ვითმინე და როდესაც მოთმინების ძაფი გაწყდა, 24 დღით დავეთხოვე უფროსს, დავკარი ფეხი და აქ კი ამოვეყავ თავი იმის სახიხავად. ახლა თქვენ ხელთა ვარ, ბიძაჩემო, თქვენ უნდა დამეხმაროთ, თქვენ გამოცდილი ბძანდებით და უნდა მსაწავლოთ, სად და როგორ ვაზოვნო ის ქალი?

მარ. არა, ჩემო საყვარელო დისწულო, მართალია ჩვენს პეტერბურგში ბევრს საკვირველს რასმეს შეხედები, მაგრამ მაგნიარი

საწყობი-კი ჯერ არ დაარსებულა. რომ მიხვი-
დე იქ და რომელი ქალიც გინდა, ის გამო-
ძებნო, ისევ შენ თითონ თუ შეეცდები რო-
გორმე.

ბელ. რა გაეწყობა! რალა თქმა უნდა,
ისევ მე უნდა ვიწვავო, ვიტანჯო და გამოე-
ძებნო საღმე. უამისობა არ შეიძლება, ბევრი
ტანჯვა გამოვიარე იმის გულსაათვის, ბევრი
უძილობა, ბევრი შიმშილი, წყურვილი, უ-
ამოვნება, შიში, უძილობა, ფიქრი, მაგრამ კი-
დევაც სიამოვნებით ავიტან ყველა ამას, ოღონდ
ერთი თვალი კიდევ გადამაღლებინა! ოხ, ბიძა-
ჩემო, რომ იცოდეთ, როგორ დავიღალე და
ძალიან მეძინება, კიდევაც, თუ შეიძლებოდა
პატარა ხანს ნება მომეცით საღმე წამოვწევი,
თორემ ცუდად ვგრძნობ თავს.

მარ. მანდ წამოწევი და რამდენიც გინდა
იძინე, მე მაინც ძილი ვამიკრთა.

ბელ. გმადლობ, ბიძაჩემო. (წამოწევა
სწრაფად)

მარ. მოდი არაყს მაინც გადავიკრამ (მივა,
გამოიღებს შავიდან არაყს) აბა, დისწულო. შენ
კი არ შეეცეხლამ.

ბელ. არა, ბიძაჩემო, არ ვეწყობი, გმად-
ლობთ!

მარ. (თითონ გადაჭრავს) სულელი ჰყო-
ფილხარ, გემოვნება არა გქონია! იქნება არც
თუთუნს ეწყობი? (ბელაინი ხერხინჯს) რაო?...
ჰა? დაიძინე? დაიძინე, დაიძინე; რალა თქმა უნ-
და დაიღლებოდი, ორი კვირა გზაში მოუსვენ-
რად ყოფნა, მართლა რომ მოსაწყენი და მო-
საბებრებელია... ეჰ, ერთიც გადავიკრა და გა-
ვიხელო რა ამბავია. (გადაჭრავს; კადის კარში,
სცენა ჰატარა ხანს ცაღიერა, სცენის გარდაშენი ის-
მის ვერაქვას სიმღერა)

ბელ. ფუ, დასწყველოთ ღმერთმა, არც
აქ მისვენებენ, ვინ ოხერია ამ შუალამისას რომ
უკრავს; ეს-ეს იყო გემრიელად ჩამოვლიმა და
ისევ გამომაფხოზღეს. საქმე ის არის, ვერც
სიხოვ, ვაჩუმიდენ... ეჰ, ბიძაჩემო, შენც ვითომ
ოთახი დავიჭირავებია. (ეურს უგდებს) ბიქოს!
რა კარგად უკრავს! (წამოიწევის) რა ვქნა, ეს ჩე-
მი საყვარელი ვალსია, რომელსაც ყოველთვის
ჩემი საცოლე უკრავდა ხოლმე... ნუ თუ სიზ-
მარში ვარ, ან მელანდებ?... (ეურს უგდებს)
ღმერთო ჩემო, ის არის ის, ეს იმის ჰანგია!

დავიჯერო ასეთი მიმგზავსება იქნება?... არა,
ის არის, ის!.. აღარ შემიძლიან... საღ არის...
მე ის უნდა ვნახო!.. ძია, ძია! ბიძაჩემო, საღ
არის? (დარბის ოთახში, მარკველ შემოვარდება)

V

იზიზი და მარკველ

მარ. რა იყო, რა გაღრიაღებს, ცუდი
სიზმარი ხომ არა ნახე?

ბელ. (მოვარდება) ღვთის გულისათვის მი-
თხარით, ვინ არის?

მარ. (გაგვირგვინავს) ე. ი. როგორ თუ ვინ?
ბიძაშენი ვარ, მარკველ. ველარ მიცან ნამძინა-
რეშა?

ბელ. არა, ბიძაჩემო, ხუმრობის დრო არ
არის, მე იმას გვითხავთ, ვინ არის ასე საუც-
ხოვოდ რომ უკრავს?

მარ. (იქით) ხომ არ გაგიცდა! ეს ჩემი სა-
სტუმროს პატრონის ქალიშვილია, ძალიან
მშვენიერად უკრავს და ამასთან ღამაშისცა.

ბელ. ღამაშიც? სწორედ ის არის, ის! სა-
ხელი მითხარით იმისი, სახელი!

მარ. ვერა.

ბელ. ვერა ნიკოლაევის ასული, არა?

მარ. არა კი, არა, ჰო, სწორედ ვერა ნი-
კოლაევის ასულია.

ბელ. ვერა ჰუჩკოვისა?

მარ. ჰო, ჰუჩკოვისა, რა საქმე გააქირე,
რა მოგივიდა?

ბელ. ოო, ღმერთო ჩემო, სჩანს ბედი
ჩემსკენაა, ეს ის არის, მე ის ვიპოვე! საღ
არის! მე მსურს მოვეხვიო, გადავიკონო, გულ-
ში ჩავიკრა, ჩემო საყვარელო, შენ აქა ხარ,
ჩემთან მოსიხარა? (გაეჭვება კარებისაკენ, სწაღ
შეეფუთება მარჯვნივ, გადაეხედება, ატრიალებს და ძაღ-
ვს ჰგონის) ჩემო სიხარული, ჩემო სიცოცხ-
ლე, ძლივს გიპოვე.

VI

იზიზი და პუჩკოვისა

პუჩ. (შეშინებული) ღმერთო ჩემო, მარ-
კველ სავი, რას შვრებით, გაგიყდით? გამიშ-
ვით; მე თქვენ გეუბნებით! ფუ! სულელი,
გვერდები სულ მთლად დამამტრია. (ამ სი-
ტუეებს თითქმის ერთ დრას ამბობს ბელაინის
უკანასკნელ სიტუებთან, რადესაც ის ატრიალებს)
ბელ. (ერთად (ანთავისუფლებს) ეს ვინ არის?
პუჩ.) ერთად ეს ვილა ოხერია?

პუჩ. ღმერთო ჩემო, უცხო კაცი. მარკელ სავიჩი, ეს არის თქვენი დისწული? ეს ვილაც მხეცია, თქვენი ქირიმი, ადამიანებს ეტანება... და მერე მე ამას მოვიტომენ ჩემს სახლში!.. არა, უკაცრავად, ამას კი აღარ მოველოდი, რომ ამ სიბერის დროს ასე შემარცხვნიდით: როგორ გაჩნდი აქ, რას გაჩუმიდი, მიპასუხე, საიდან გაჩნდი მეთქი!

ბელ. სრულიად უბრალოდ... აი ამ ფანჯრიდან!..

პუჩ. ერთი ამას უყურეთ, როგორ დამწვიდებულნი ამოხვან ფანჯრიდანაო, თითქოს ეს ასე უნდა მომხდარიყო და არაფერიაო. მერე იცით, რომ ეგ ქურდობაა, მაგრამ ქურდობა რა სათქმელია ამ საქციელთან... თქვენ, ყმაწვილო კაცო, უსცინიდიხო ყოფილხართ და ამიტომ გათხოვთ საიდანაც მოპრძანდით— იმ გზით გაემგზავროთ.

ბელ. როგორ, მაგდებთ?

პუჩ. არაფრის გაგონება არ მინდა. იცით თქვენი ბარგი-ბარხანა და ათ წამში თქვენი ხსენება აქ აღარ იყოს. (მარკელს) მე და თქვენ-კი, ბატონო, შემდეგ მოვილაპარაკოთ... ასე, ათ წამში თქვენი ხსენება აქ აღარ იყოს! (გადასი)

ბელ. ახლა რაღა ექნა, ბიძა ჩემო?

მარ. არ ვიცი, ძმაო, მე ამეგებისა არა ვიცი რა.

ბელ. როგორ? განა იმისთვის მოვეჭქარებოდი, რომ აქედან ასე უნუგეშოდ დებებუნდე და ჩემი სიცოცხლე არა ენახო? ბიძაჩემო, ახლა ყველაფერი თქვენგანაა დამოკიდებული, მიშველეთ, დამეხმარეთ!

მარ. მერე, მე რა შემიძლიან?

ბელ. შენი ქირიმი, ბიძაჩემო, წაბრძანდით და აქ დაუძახეთ ჩემს ვეროჩკას, ერთი მოველაპარაკოთ და მერე ისეთი დღე დაეყენო იმის დედას, რომ საცა თავისას ამოხდეს იქაც უწინ ჩემი სოქვას. გასწით, გასწით, ახლავ დაუძახეთ, ჩქარა!

მარ. კარგი, რა გეწყობა. (გადასი)

ბელ. რაც იქნება—იქნეს, ერთი კი თვალი მოაკრა ჩემს ვეროჩკას და ბებერმა რამდენიც უნდა იყბედოს, მე იმას ყურს არ ვუვლებ.

VII

იზინივე და ვეროჩკა

მარ. აბა, შეხედე, ვეროჩკა, ეს ვინ არის?

ვერ. პეტია!

ბელ. ვეროჩკა! (ესხვევან ერთმანეთს)

მარ. ერიბა, ესენი აღარა ხუმრობენ!

ვერ. არა გრცხვნიან, აქ როგორ გაჩნდი? რატომ წერილზე პასუხს არ მწერდი? მეგონა, დავაიწყული კიდევამეთქი.

ბელ. რას ამბობ, ჩემო მშვენიერო, განა შენი დავიწყება შეიძლება? ღმერთმა დაიფაროს! მე კი არა და შენზე კი სწორედ მაგას ვფიქრობდი: იმისთვის რომ არც ერთი წერილის პასუხი არ მოიწერე.

ვერ. როგორ თუ არც ერთის! ოთხი წერილი მოგწერე და შენ-კი არც ერთის პასუხი არ მაღირსე.

ბელ. არც ერთიც არ მიმიღია. საკვირველია, მერე შენ თითონ ადგებდი წერილებს ყუთში?

ბერ. არა, ბიქს ვგზავნიდი ხოლმე. აი ახლა კი მიგხვდი, უთუოდ დედაჩემი ართმედა წერილებს; სწორედ, სწორედ იმის ბრალია.

ბელ. კარგი, რაც იყო—მორჩა; ახლა, ჩემო ვეროჩკა, აქედან უნდა გავიქცეთ.

ვერ. გავიქცეთ? მერე საით?

ბელ. ეგ სულ ერთია! მსოკოვში, ინდოეთში, თუნდ ზედ მოვარეს მოვექცეთ, მხოლოდ გაქცევა კი აუცილებლად საქირაო. დედაშენმა აქედან გამაგლო. მაშ მივდივართ ჯვარის დასაწერად, ახლოვ, ამ წუთშივე!

ვერ. ოხ, რა სასიამოვნო იქნება! მივრბივართ პეტია, მივრბივართ!

ბელ. (იღებს ჩემოდანს) ნუღარ დავკარგავთ ძვირფას დროს და დავეშურნეთ.

მარ. ყმაწვილო, ჯვარის დასაწერად მილიხართ და ჩემოდანი რაღად გინდა?

ბელ. როგორ თუ რად? საცოლო ილღიის ქვეშ და ჩემოდანი ხელში ე. ი. ფუ: სწორედ უკუღმა უნდა მეთქვა, მაგრამ სულ ერთია. აბა ჩქარა, თორემ დედა ხელს შეგვიშლის, ერთი საათის შემდეგ აქ გავჩნდებით ჯვარდაწერილებში. აბა, მივდივართ! (მაღიან, კარგეში შესვლა) ჰუჩინსი)

VIII

იზინივე და პუჩინისა

პუჩ. ეს რა ამბავია? ვეროჩკა, შენ როგორ გაბედე უცხო კაცთან ყოფნა, ან აქ როგორ გაჩნდი?

ვერ. მე, დედა ჩემო...

პუჩ. ხმა! ნუ მიპასუხებ!.. საით მიბრძანდებიო, მე თქვენა გკითხავო?

ვერ. (ერთად) მარკელ სავიჩ, დაგვეხმარეთ! ბიძაჩემო, დაგვეხმარეთ!

მარ. გამიჩინეთ რაღა თქვენც საქმე.

პუჩ. მიპასუხებ თუ არა, შე უსირცხვილო, მითხარ მეტი, ვის გადახვეყნებარ მგ უცხო კაცს?

ვერ. ეს, დედაჩემო, უცხო არ არის... მე ამას დიდი ხანია ვიცნობ.

პუჩ. სუ, ვაჟო! ვინ არის მეტი?

ბელ. (ერთად) ბიძია, უთხარათ, ყველავერ. (ერთად) ფერი.

მარ. ეჰ, რა გაეწყობა! ღმერთო მშვიდობით გადამარჩინე ამ დედაკაცის რისხვას!.. მეერა კუზმინიშნა, მე ახლავ ყველაფერს ავიხსნით. მხოლოდ თქვენ დაწყნარდით, დაბრძანდით და ყველაფერს ნათლად შევატყობინებთ.

პუჩ. მე ასეც არა მიჰირს-რა; ბრძანეთ, ბრძანეთ ერთი ენახო, რას წამოაოშავთ?

მარ. (ბეჟაის და ვერსიკას) თქვენ ცოტა იქით მიბრძანდით პატარა ხანს.

პუჩ. არა, უკაცრავად, მე მაგის ნებას არ მივცემ, რომ ეგენი ერთად იყვნენ. (ვერსიკას თავისკენ წაიყვანს) სთქვით ახლა, ყურს გვიდებთ.

მარ. მეერა კუზმინიშნა, ჩემო საყვარელო არსებო, თქვენც რომ ყოფილხართ რდესმე დანიშნული, ამისთვის თქვენ თვითონ იცით რა ძნელია სიციხლელ მარტოხელა ადამიანისათვის. ყოველი სულიერი ცდილობს, საბოლოო ცემოს და ამისათვის...

პუჩ. (იქით) აცა, თუ ხელი არ მთხოვოს.

მარ. ამისათვის, ჩემო საყვარელო არსებო, ნება მიბოძეთ... ესე იგი, მე უნდა გთხოვოთ... მე უნდა გთხოვოთ ხელი...

პუჩ. არ მოვტყუვდი, მე დიდი ხანია ვატყობ, რომ ამას საშინლად ვუყვარვარ.

მარ. გთხოვთ მომცეთ...

პუჩ. (კონტრასს) თქვენ არ დამცინით და მართალს ჩეუბნებთ?

მარ. ღმერთს გვედებოთ, სრულს ქეშმა-რიტებას.

პუჩ. მე თანახმა ვარ. (ვერსიკა და ბელა კინ ერთმანეთს კოცნას უგზავნიან)

მარ. თანახმა ხართ?... ნუ თუქ.. სწორედ გასაკვირველია, მაშ დავკარით ხელი, საყვარელო არსებო!

პუჩ. (დაკრავს ხელს) რატომ არა მკოცნით? **მარ.** ერთპა! ამას კი აღარ მოველოდი; ნამდვილად ცხვრის მომაკვნიტს ეს ოჯახ-დაქცეული. (იშის) მოლით ჩემო...

პუჩ. (მოვარდებს და მკრავდ კოცნის) საყვარელო მარკელ! მარკოშა! ამას იქით შენც მაკრას მაგივრად მაერკა დამიძახე. დანიშნულები ხომ სუყველთვის შენოპით ელაპარაკებოან ერთმანეთს!

მარ. (გაჟვრეუული) დანიშნულებიო?

პუჩ. რას ვაგიკვირდ? ახლა არ იყო ხელი მთხოვე?

მარ. (იქით) რას მიპქარავს, რა ექნა! (იშის) მეერა კუზმინიშნა, განა ჩემთვის გთხოვდით ხელს, აი ამ ყმაწვილ კაცს...

პუჩ. მარკელ, გეყოფათ მაგდენი სისაცილობა. ეს ყმაწვილი კაცი მე შემიბრძანებ?

მარ. (მთომინებლად გამოსული) დამათვეზინე, დაგწყველოს ღმერთმა! ამ ზაფხულს ჩემმა დისწულმა გაიკნო თქვენი ქალი ვეროქკა ვორონეჟში, როდესაც იქ იყო სტუმრად; მოეწონა, ხელი სთხოვა და ახლა განგებ იმისთვის მოვიდა, რომ თქვენ პირისპირ მოგელაპარაკოთ ამ საქმეზე და თქვენგანაც ლოცვა-კურთხევა მიიღოს... მაგრამ რაკი ეს ამისთანა საქმეში გამოუტყდელია, და ძალიანაც მორცხვობს, ამისათვის მე მომანდო ეს საქმე... ახლა მიხვდით, თუ კიდევ ვერა?

პუჩ. ვაიმე, თავი როგორ შევირცხვინე? მიშველეთ, მიშველეთ გული მიმდის! (ჩაეცქება სჯარსკელში, ამ დროს დანიშნულება ერთმანეთს კოცნის)

პუჩ. (დაინახავს და წამოხტება) თქვენ ნება არ გაქვთ ჩემ ქალს აკოცოთ! ვაიმე მიშველეთ! (ისევე ჩაეცქება, ისინიც ისევე იმეორებენ კოცნას, ზუჟკინისა ისევე წამოხტება) მე არ გთხოვართა, ნება არა გაქვთ მეტი კოცნისა? თქვე უსირცხვილებო! მაშ მაგასა სწერადდით რაღა, ქალბატონო, იმ საარშიყო წერილებს? ეჰ, მოვტყუვდი, მოვტყუვდი მე ბებერი. ეტყობა ძალიან უყვარს, რომ ამის გულისთვის ამ სიმორზე მოსულა. ეჰ, რა გაეწყობა, მე ჩემი ქალის ბედნიერებას არ გადაველოებები. თუ ვეროქკას უყვარს, მეტი ღონე არ არის, უნდა დაველოცო. ვეროქკა, გყვარს ეგ ყმაწვილი?

ვერ. უჰ, ძალიან, დედაჩემო, ღამის დავახრჩო.

პუჩ. შენა? შენც ისე გიყვარ?

ბელ. უპ, ისე ძალიან, რომ ლაშის ვადეცლაპო.

პუჩ. რა გაეწყობა, მე თანახმა ვარ; ახლა შეგიძლიანთ აუკოთ! (ღაწაწულაბი ერთმანეთს კეჭეჭან)

პუჩ. მარკელ სავიჩ, მოდი თ მოვილოცეთ ქალის გათხოვება და მაკოცეთ.

მარ. ამ შეჩვენებულს, რა უდროოთ აქშალა საღერდელი. (უგვლოთ კოცნის, ზუჩკინისა დიდის გრძნობით ეგერება და ჰკოცნის)

(შარდა) დ. აწყურელი

სათეატრო ამბები

◆ იზსენის პაიას „ბრანდი“ ითარგმნება ქართულად მ. ტაბიძის-მიერ.

◆ ივ. ჩავჭანდიძემ დასწერა პიესა „ყრუ სოფელში“, სამს მოკ. იმერელ-გლეხთა ცხოვრებიდან.

◆ ზეინაზის მართლ განსაზრთულან მოხდება ქუთაისში, ქ. აბაშიძისა, გრ. რომაძიძისა და შალვა მესხიშვილის მოახოვნელიებით.

◆ ქართულ თეატრში ქართ. მსახიობთა ამხანაგობის-მიერ ხუთშაბათს, 22 აპრილს ნინო ჩხვიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ღალატა“.

◆ შობათს, 24 აპრ. ვასილ ანაშიძის საძურე-ფისილდ — გაავტოებელი აზნაურა“.

◆ კვირას, 25 აპრ., ნ. ჩხვიძის მონაწილეობით „სტუდენტის სიყვარული“ (დენი ჩვენის ცხოვრებისა).

◆ მსასილბ ზ. ვლუჯანოვის თეძილი. 2 მისის მაგიერ, ბულიშაშას, 6 მაისს გაიშართება.

◆ სიბრთნა წერაკიბის ბამე. სახ. სასარგებლოთ გაიშართება კვირას, 2 მისს მუშტილის ბალში.

◆ ფრანგული წარმდგენა. თბილ. გუბერ. ნებართვით კნ. ე. ი. ჯამბაკურ-არბელიანისა 1 მაისს, ქართ. თეატრში გამართავ ფრანგულ წარმოდგენას მამადევაიის სკოლისა და მოსკოვის სტუ. ქართ. „სათვისტომოს“ დასახმარებლად.

◆ მარტვის დრამატული დასის წარმოდგენები დიწყება სახაზინო თეატრში 19 აპრილიდნ.

◆ თ. ი. შალვაძის ნეყნისთევი 20 წელიწადი უსრულდება, რაც სათაბერო დასში მოღვეუბს.

◆ „შინჯული“ — ს წარმოსდგენად თავკომოდებით ეშაბდნიან მოსკოვის „Малый театр“-ში. პიესას შიგა და შიგ ამოკლებენ, ახალი დეკორაციები და ჩატელობა მომზადებლი; „ბატის“ ჩატელები იარ ფუტს იწონის, დანარჩენ „ფრთხანთა“ ნახევარ ფუთიდან ფუთხანებამდე. მიუხედავთ იმისა, რომ ფრანგულად სიზოლოიური გლფერი აქვს მიტეული პიესას, რუსულად უფრო რეალურად სწავნენ. მსახიობთ საოცრად აქვთ შეთვისებული ფრთხანთა თვისება — ხასიით, მოძრაობა, მიმოხერა და სხ.

ვ. ალ-მესხიშვილის გასტროლები.

თბილისს ქართული დრამატული დასის მსახიობთა ამხანაგობის მიერ პროვიციებში გამართულ წარმოდგენებში ანგარიში.

ამხანაგობა შესდგებოდა შემდეგ მსახიობთაიან: მ. მღვანი, ნ. როინელი, ა. შოთაძე, კ. მესხი, ი. ხარდალიშვილი, ნ. გვარამე, ვ. მატრამე. ი. კვიციანი, კ. ანდრონიკაშვილი, ვ. ურუშაძე, და მ. გერული. ამხანაგობამ მოიწვია ვლ. მესხიშვილი 15 წარმოდგენაში მონაწილეობის მიხალებად 500 მანააღ და გზის ხარჯიკ ამხანაგობამ იკისრა. რადგანაც ზოგიერთ ადვილას სთხოვეს ამხანაგობის ზედ მეტი წარმოდგენების გაშართვა, ამიტომ დასმა დასდგა 20 წარმოდგენა. ამხანაგობამ დაიწყო მოგზაურობა 10 მარტს და დაამთავრა 9 აპრლს, ასე რომ სრულს ერთ თვეს გასტანა.

ყვირილაში	1 წარმოდგ.	218 მან.
ქიათურაში	3 „ —	475 „ 10 კ.
ქუთაისში	4 „ —	1194 „ 80 „
სამტრედიაში	2 „ —	339 „ — „
ფოთში	3 „ —	701 „ 30 „
ბათუმში	3 „ —	736 „ 40 „
სოხუმში	3 „ —	516 „ 80 „
ხონში	1 „ —	143 „ 60 „

სულ 4325 მან.
 მთელი ხარჯი — 2126 მან. 14 კ.
 ვლ. მესხიშვილს 20 წარმოდგ. 750 „ — „
 „ „ ბენეფისიდან 112 „ 30 „

მთელს ამხანაგობას დარჩა 1306 მ. 56 კ.
 თითო წევრს ამხანაგობისას ერგო 1:0 მანაამდე.

სომეხთა მწერლები

ალექსანდრე წატურიანი დ. 1870 წ.

საქათაქმ. პირველად მისი სთარგმნი ლექსი შილდერედან — „ბავშვი აკვანში“, დაიბეჭდა 1886 წ. მას შემდეგ სწერდა სხვა-და-სხვა დროკამოშეებითა გამოცემებში. მისი ნაწერების კრებული სამ ტომად და გამოცემული, რომელთაგან უახანესელი „კაღმის სუმიბანის“ შეიცავს ზაწყა, სტირულ მსუბუქ ლექსებს.

ს. წ — ნი აგრედვე ცნობილია როგორც რუსული ავტორების მთარგმნელი: ტურგენიევი, ზუკოვინისა და სხვ. გამოცემული აქვს არი მშეხიბლი ტომი თარგმნებისა. ს. წ — მ, თუი ვეკელაქსიანისათა, რუსულად გადათარგმნა გაბრულ სულეიანის „პეტი“. მისი ლექსები გადათარგმნილია რუსულად და რამდენიმე ქართულადც. ს. წ. ერთის მხრით რომ გესიანად დასცივის ადამიანთა არა-ადამიანების, მეორე მხრით მოსოქავს ჩავრულთა და ტვირთ მოსოქავთ ბედს, თან სხუტეშებს — იმედს ნუ დაკარგავ უკითხის მერმასისოვისა, და მოწყობებს ბრწყინებულ მომავლისაკენ. ს. წ — ის თოველი ლექსი გრძნობითაა გამსჭვალული, მთლიან, სრული და დრმა მთარგმნილების მომდენი.

სომხის მადლიერი სსოვადლება მოსოქავში ამ თვის 2:3 აბრიდეს უხდის დეკსისწულს. 4. ვ-ნი

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

სამანუებაკტურო ამხანაგობა

ნაზაროვისა და ოჭიევისა

ერევნის მოედანზე, ქალაქის გამგეობის დარბაზის ქვეშ.

ყაუკულდე მონადით აზრეშუმის, მატყლის,

ტილოზს და ბაშბეულის დიდ ძალი საქანელი

◆◆ უკანასკნელი მოღიხა ◆◆

ამხანაგობა პეტეფულ საზოგადოების ყურდღუნს მიძღვეს საქონლის ღირსეზსა და
ღოღუნის არ ყოველ სიიაფზე ◆ სყიდვა შეუგაჭრებლად 24—3

1910 წლის 18 აპრილიდან ქ. ცვილისში გაზღვის

საზლიტეო, სამეცნიერო და სლავოტურტორო

ყოველკვირული გაყვითი

„მოღეზაურნი“

მონაწილეობას მიიღებენ: ბ. ახოსპირელი, ბესოშვილი, გრ. გიორგაძე, ნ. გლიავა, ვიქტორი, თურდოსპირელი, პ. ირეჟელი, რ. კალაძე, კ. კანდელაკი, ლალიონი, ვ. მალაქიაშვილი, რ. ლეჩხუმელი, ნატო. მ. სხვა-ველი, გ. ქუჩიშვილი, ყარიბი, ხ. შაუმანი, შვარცი, კ. ჯაფარიძე და სხ.

გაზეთის ფასი — ერთი წლით — 5 მან. ნახევარი წლით — 3 მან. ერთი თვით — 1 მან. შუაში. ცალკე ნომერი ორი შაური. ხელის მოწერა შეიძლება აგრეთვე რამდენიმე ნომერზე, ორ-ორი შაურის ანგარიშით, არს საკლები სუიისა.

დრთებით ხელის მოწერა მიიღებს მ. პილაძის სტამბის განტორამი — ვლიამინთავის ქ. სას. № 5

ფოსტის აღრები: Тифлис, Редакция „Могзаური“ Соломону Евстафьевичу Телия. (Тшпо. Килაძე)

რედაქტორ-გამომცემელი კ. თ. ზვალაძე. ☺

ქართული 1910 თ. 1 ა. ც. რ. 1

ქართველ მახიობთა ამხანაგობის მიერ

წარმოდგენილი იქნება

სუთშაასი, 22 აპრილი, **ნ. ჩხეიძის** მონაწილეობით
ლ ა ლ ა ტ ი ის. გ. 5 მ. 4. სუქპრონაგლისა
თარ. გ. ყიუნიამისა

შაასი, 24 აპრილი, **ვ. აბაშიძის** სახეივანოდ
გამოსტრავული ახნაური კომ. 4 მთ. თარ. 5
ჩამბიამისა

კვირას, 25 აპრილი, **ნ. ჩხეიძის** მონაწილეობით
დღენი გვანი სსოვრებისა კომ. 4 მთ. თარ. 5
ანგურისა დასაწყისი საღ. 8 ს. ◆ ფასები ჩვეულებრივია.
რეკლამა გ. გონი

დროება ყოველდღეურა (საზოლ.-სალიტ. გაზ. წლიურად 8 მ. 50 კ. 1/2 წლ. 4 მ. 80 კ. თითო № 5 კ. თარ. გ. 5. ა. ავლაძე

გვანი გაგაში ყოველდღეური საზოლ.-სალიტ. გაზეთი, წლიურად 7 მ. 1/2 წლ. 4 მ. თითო № 5 კ. თარ. გ. 5. ც. ც. ც. ც. ც.

НОВАЯ РЫБЬ еженеви. общ.-полит. лит. гавета: на годѣ 7 р., 1/2 года 4 р. — по мѣсячно 75 р. Тифлисѣ, Дворцовая ул. Груз. Двор. ред. „Новая рыба“.
Ред.-изд. П. А. ГОТУА.